ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



ეკონომიკური რეაგირება COVID-19-ზე: როგორ უმკლავდება გამოწვევას საქართველო?

ავტორები: იაროსლავა ბაბიჩი, დავით კეშელავა, გიორგი მუავანაძე

გლობალური რისკები

ახალი კორონავირუსის (COVID-19) აფეთქებამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რის გამოც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. აღარავინ სვამს კითხვას, როდის (ან თუ) დადგება გლობალური ეკონომიკური რეცესია, რადგან ის უკვე რეალობაა. მოვლენები სწრაფად განვითარდა:

- სააქციო ბაზრებზე მაღალი მერყეობა დაფიქსირდა, აქციების ფასები ერთ დღეს მკვეთრად იზრდება, მეორე დღეს კი რეკორდულად ეცემა;
- მსოფლიოს მასშტაბით კომპანიები ლიკვიდურობის დაკარგვის შიშით ფულად სახსრებს ინახავენ;
- ქვეყნებმა მიიღეს მკვეთრი ზომები და შეზღუდეს საზღვარგარეთ მოგზაურობა და სოციალური ინტერაქცია;
- ჯანდაცვის სისტემები იმ ქვეყნებში, რომელთაც ვირუსი ყველაზე მეტად შეეხო, ჩამოშლისზღვარზეა;
- ნავთობის ფასები დაეცა. ასეთი მკვეთრი ვარდნა 2016 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა, რაც განაპირობა როგორც დაბალ მოთხოვნაზე მოლოდინებმა, ისე მიწოდების ზრდამ;
- წარმოების პროცესები და ღირებულების ჯაჭვების კავშირები ჯერ აზიაში, მოგვიანებით კი ევროპასა და აშშ-შიც შეფერხდა;
- OECD-ისპროგნოზით,გლობალური ზრდა 2020 წელს შეიძლება განახევრდეს და 1.5% შეადგინოს.

ეს ორმაგი შოკი მოქმედებს როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეზე და მაშინ დაატყდა მსოფლიოს, როდესაც არაერთ განვითარებულ ქვეყანაში კერძო და სახელმწიფო ვალის მშპ-სთან ფარდობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. კოორდინირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გარეშე ეკონომიკურმა კრიზისმა შესაძლოა ადვილად მიაღწიოს ისტორიულ მასშტაბებს.

რა ზიანი მიადგა საქართველოს ეკონომიკას და რა ზიანი შეიძლება მიადგეს მომავალში?

მოთხოვნის მხარის ეფექტები:

1. **შიდა მოხმარების შემცირება,** რასაც ქცევისა და პოლიტიკის ცვლილება განაპირობებს: ადამიანები სახლში რჩებიან, რომ თავი დაიცვან ან კანონი ავალდებულებს. მოსალოდნელია, რომ ვალუტის გაუფასურება და ფასების შესაძლო ზრდა (რასაც მომხმარებელთა „ჯოგური ქცევა“ და საქონლის მომარაგებასა და მიწოდებაში არსებული შეფერხებები იწვევს) უარყოფითად იმოქმედებს მოხმარებასა და ინვესტიციებზე.
   შინამეურნეობების მოხმარება საქართველოს მშპ-ის 66.7%-ს შეადგენს (საქსტატი, 2018 წ.). ამიტომ შინამეურნეობების სამომხმარებლო (მაგ. ტრანსპორტირების, ტანსაცმლის, ელექტრონიკისა და შიდა სერვისების)

დანახარჯებისმნიშვნელოვანი შემცირება შეაფერხებს მშპ-ის ზრდის ტემპს. შიდა მოთხოვნის შემცირება განსაკუთრებით მძიმედ აისახება არაფორმალურ სექტორებში მომუშავე ადამიანებზე (მაგ. დროებით დასაქმებულებზე, სხვა თვითდასაქმებულებზე, ტაქსის მძღოლებზე, მომსახურების სფეროში მომუშავე პირებზე), ვინც რეგულარული ხელფასის გარეშე მუშაობს, და მცირე და მიკრო ბიზნესების მფლობელებზე. მათი მდგომარეობა ზოგადად გაუარესდება, რადგან მთავრობის ფისკალური სტიმული და მხარდაჭერა მათ პირდაპირ ნაკლებად შეეხებათ. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთმა პირებმა პირდაპირი სარგებელი მიიღონ ფინანსური სისტემის წასახალისებლად მიწოდებული დამატებითი ლიკვიდურობით, რადგან ისინი ვერ ისარგებლებენ საბანკო სესხებით თავიანთი შემოსავლების დროებითი დანაკარგების დასაფარად.
კიდევ ერთ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს ფორმალურ სექტორში დასაქმებულები, რომლებიც ისეთ კომპანიებში მუშაობენ, სადაც ეკონომიკური საქმიანობა დრამატულადაა შემცირებული (ტურისტული კომპანიები, რესტორნები, სასტუმროები, გასართობი ინდუსტრია, ტრანსპორტი და ა.შ.).აღნიშნულმა კომპანიებმაშეიძლება თავიანთი თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში გაუშვან ან უბრალოდ სამსახურიდან გაათავისუფლონ. გარდა ამისა, ვარდნა შიმეურნეობების მოთხოვნის მხრივაც გაუარესდება, რადგან ოჯახების უმეტესობას, სავარაუდოდ, მხოლოდ შეზღუდული ოდენობის დანაზოგები აქვს და, შესაბამისად, მათი მოხმარების შეუფერხებლად გაგრძელება ვერ მოხერხდება. ამიტომ კრიზისმა, COVID-19-ის პირდაპირი გავლენის გარდა, შეიძლება კეთილდღეობის მკვეთრი შემცირება და ადამიანების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებაც გამოიწვიოს.

2. **შიდა ინვესტიციების შემცირება** – გაურკვევლობა და ბიზნესის განწყობის გაუარესება შეაფერხებს ბიზნესის საინვესტიციო გადაწყვეტილებებს. გლობალური რეცესიის მოლოდინები შეიძლება რეალობად იქცეს, თუ მომდევნო თვეებში ბიზნესი ჩვეულ რეჟიმში მუშაობას არ დაუბრუნდება. თუ კომპანიები ელიან, რომ მოთხოვნა შემცირდება, თავადაც შეაჩერებენ ინვესტიციებს, რაც კიდევ უფრო შეამცირებს მშპ-ს. ინვესტიციები (მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება) საქართველოს მშპ-ის თითქმის 28%-ს შეადგენს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ გაზრდილმა კაპიტალურმა დანახარჯებმა უნდა დააკომპენსიროს კერძო ინვესტიციების მოსალოდნელი ვარდნის გარკვეული ნაწილი.

3. **ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ბიზნესების შეფერხება** – საგულისხმოა, რომ სიფრთხილის ზომების გამკაცრების შედეგად საერთაშორისო მოგზაურობის აკრძალვა მკვეთრად შეამცირებს ტურისტების შემოსვლასა და მათგან მიღებულ შემოსავლებს. ჩვენი წინასწარი გათვლებით, საქართველოს ეკონომიკამ თებერვალში ტურიზმის პოტენციური შემოსავლის 3-9% უკვე დაკარგა. ვინაიდან ქვეყნის მშპ-ის 6% ტურიზმის სექტორზე მოდის (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018წ.), პირდაპირი დარტყმა ამ ინდუსტრიაზე სერიოზულ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკასაც. 1-ელ ცხრილში წარმოდგენილია მშპ-ის დანაკარგები,

რომლებიც შემდეგი სცენარების შემთხვევაშია მოსალოდნელი:

	ცხრილი 1. კორონავირუსის კრიზისის წმინდა ეფექტი				
	გავლენა მშპ-ზე (პროცენტული პუნქტი)				ტურიზმის შემოსავლები (მლნ. აშშ დოლარი)
	ტრანსპორტი	*განთავსებისა და კვების მომსახურება*	*ტურისტული კომპანიები*	მშპ-ის მთლიანი ცვლილება	
სცენარი 1: საერთაშორისო, გამყვანი და შიდა ტურიზმი სრულად შეჩერებულია **2020 წლის მარტ-მაისში**	*-0.18*	*-0.36*	*-0.28*	**-0.82**	**-514**
სცენარი 2 : საერთაშორისო, გამყვანი და შიდა ტურიზმი სრულად შეჩერებულია **2020 წლის მარტ-ივლისში**	*-0.41*	*-0.82*	*-0.64*	**-1.87**	**-989**
სცენარი 3: საერთაშორისო, გამყვანი და შიდა ტურიზმი სრულად შეჩერებულია **2020 წლის მარტ-დეკემბერში**	*-1.19*	*-2.34*	*-1.84*	**-5.37**	**-2,010**

სცენარებში მითითებული თითოეული პერიოდის შემდეგ, ტურიზმი მყისიერად დაუბრუნდება 2019 წლის მაჩვენებლებს.
წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ავტორების გამოთვლები

4. **ირიბი გავლენა სხვა სექტორებზე** – რეგიონში, ჩინეთში, ევროკავშირსა და აშშ-ში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება ვაჭრობასა და წარმოებას შეამცირებს, რაც მთლიანად ეკონომიკაზე ჰპოვებს ასახვას.
   რთულია, ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ იმოქმედებს ასეთი მასშტაბის გლობალური შოკი საქართველოს ეკონომიკაზე, თუმცა უკვე შესაძლებელია წინასწარი შეფასებების გაკეთება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს ზრდის ტემპები მჭიდრო კავშირშია მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპებთან. გასაკვირი არ არის, რომ ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო კორელაცია რუსეთის ეკონომიკურ ზრდასთან გვაქვს. თავის მხრივ, გლობალური ეკონომიკური კავშირების პირობებში, რუსეთის ეკონომიკური ზრდაც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ქვეყნების ზრდის ტემპებთან. აღნიშნული კორელაციები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში:

ცხრილი 2	საქართველო	რუსეთი	სომხეთი	თურქეთი	ჩინეთი	ყაზახეთი	იტალია	გერმანია	საფრანგეთი	აშშ	ისრაელი	უკრაინა
საქართველო	1.00	0.87	0.88	0.66	0.58	0.81	0.67	0.74	0.85	0.69	0.77	0.73
რუსეთი		1.00	0.90	0.60	0.73	0.83	0.64	0.67	0.82	0.63	0.79	0.91

წყარო: მსოფლიო ბანკი, ავტორების გათვლები

იმისათვის, რომ დავადგინოთ, რა გავლენა ექნება მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების შეფერხებას საქართველოზე, ჩვენ ეკონომიკის სამ სცენარს მივყევით, რომელიც ორლიკმა და სხვებმა (Bloomberg.com, 2020 წლის 6 მარტი) შემოგვთავაზეს. რიცხვები ასახავს ზრდის ტემპების ცვლილებას საბაზისო სცენართან შედარებით (რაც ვირუსის ეპიდაფეთქებამდე გვქონდა).

ცხრილი 3. კორონავირუსის ეფექტი ზრდის ტემპებზე	რეალური მშპ-ის წლიური ზრდის ცვლილებები 2020 წელს საბაზისო სცენართან შედარებით (პროცენტული პუნქტი)				რეალური მშპ-ის ზრდა 2020 წელს, საბაზისო 5%-იანი ზრდის პირობებში
	რუსეთი	გერმანია	აშშ	**საქართველო**	**საქართველო**
სცენარიA: ვირუსით გამოწვეული ლოკალურიშეფერხება	-0.9	-1.2	-0.2	**-1.09**	**3.91**
სცენარი B: ინფექციის მასშტაბური გავრცელება	-3	-2.8	-1.3	**-3.09**	**1.91**
სცენარიC: გლობალური პანდემია	-4.8	-3.6	-2.4	**-4.18**	**0.82**

წყარო: Bloomberg,ავტორების გამოთვლები

5. **ვაჭრობის შემცირება** – შესაძლებელია გარკვეული მსგავსებების პოვნა არსებულ სიტუაციასა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის (EECA) რეგიონში 2014-2017 წლების ეკონომიკურ შენელებას შორის, რომელიც ნავთობის ფასების დაცემამ და აშშ დოლარის გლობალურმა გამყარებამ გამოიწვია. ამ უკანასკნელმა განაპირობა საგარეო მოთხოვნის მკვეთრი დაცემა, საქონლის ფასების შემცირება და რეგიონული სავალუტო კრიზისი, რომელმაც გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზეც. 2015 წელს ქვეყნის საქონლის ექსპორტი 23%-ით, წლიური იმპორტი კი 15%-ით შემცირდა. ვაჭრობა 2014 წლის მდგომარეობას მხოლოდ 2018 წელს დაუბრუნდა. მოსალოდნელი კრიზისი მეტად უარყოფით გავლენას იქონიებს არამხოლოდ საგარეო მოთხოვნაზე, არამედ წარმოების ღირებულების ჯაჭვებზეც, რაც საქართველოს ვაჭრობას კიდევ უფრო დააზარალებს. მოსალოდნელია, რომ შემცირდებაყველანაირი საქონლით ვაჭრობა, გარდა საკვებისა და მედიკამენტებისა, შოკის ხანგრძლივობის მიხედვით.

6. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემცირება** – უცხოელი ინვესტორები უსაფრთხო აქტივებში ამჯობინებენ ინვესტიციების ჩადებას. ვალუტის გაუფასურების მოლოდინები უარყოფით გავლენას იქონიებს FDI-ზეც. 2019 წელს საქართველოში FDI-მა 1 267.7 მლნ. აშშ დოლარი (მშპ-ის 7.1%) შეადგინა.

7. **ფულადი გზავნილების შემცირება** – ჯანდაცვისა და ნავთობის ფასების კრიზისის შემდეგ ყველა ქვეყნის ეკონომიკას შეექმნება პრობლემები, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მსოფლიოს დანარჩენი ნაწილიდან ფულადი გზავნილების შემოდინება მნიშვნელოვნად შემცირდება. ფულადი გზავნილების შემცირება განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა იქნება საქართველოსთვის, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ რესურსზე: მაგალითად, 2019 წელს ფულადმა გზავნილებმა მშპ-ის 9.8% შეადგინა. მე-4 ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა სცენარი, თუ რა ზარალს განიცდის ქვეყანა ფულადი შემოდინებების შემცირების შედეგად:

ცხრილი 4. კორონავირუსით გამოწვეული ცვლილება ფულადი გზავნილების წმინდა შემოდინებაში 2020 წელს (მლნ. აშშ დოლარი)

სცენარი 1: ფულადი გზავნილების წმინდა შემცირება 10%-ით წლის მომდევნო თვეებში (მარტ-დეკემბერი)	**სცენარი 2:** ფულადი გზავნილების წმინდა შემცირება 30%-ით წლის მომდევნო თვეებში (მარტ-დეკემბერი)	**სცენარი 3:** ფულადი გზავნილების 50%-ით წმინდა შემცირება წლის მომდევნო თვეებში(მარტ-დეკემბერი)
-114	-372	-629
წმინდა ცვლილება მოხმარებაში ფულადი გზავნილების შემცირებიდან გამომდინარე*		
-570	-1,857	-3,146
წმინდა ცვლილება შინამეურნეობის რეალურ მთლიან მოხმარებაში, წილის სახით **		
+0.3%	-2.6%	-5.5%

*გამოყენებულია დაშვება, რომ 1 აშშ დოლარის ტრანსფერი მოხმარებაზე დანახარჯების 0.8 აშშ დოლარის ეკვივალენტურია
**USD/GEL-ის სავალუტო კურსი 2020 წლის 20 მარტის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა (3.1818) და განზოგადებულია წლის დანარჩენ თვეებზე (მარტ-დეკემბერი). ინფლაციის დონედ 2020 წლისათვის 6%-ია მიჩნეული.
წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ავტორების გამოთვლები.

მიწოდების მხარის ეფექტები:

1. **წარმოების შეფერხებები** – შიდა წარმოება ზარალს განიცდის, რადგან ბიზნესები იძულებით იხურება, თანამშრომლები კი სამსახურში ვერ მიდიან. საზღვრების დაკეტვა, მოგზაურობის აკრძალვა, საქონლის, ადამიანებისა და კაპიტალის გადაადგილების შეზღუდვა იწვევს შეფერხებებს წარმოებასა და ვაჭრობაში (მაგალითად, ჩინეთში მკაცრი ზომების გატარების შემდგომ, საქონლის, ადამიანებისა და კაპიტალის გადაადგილება ნორმალურ მაჩვენებლებთან შედარებით 50-60%-ით შემცირდა, თუმცა უკვე ნელ-ნელა უბრუნდება ნორმალურ დონეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი მკაცრი მიდგომები

ჯერ არ ან ვერ დანერგეს დასავლეთის ქვეყნებმა. თუმცა, ასეთი აკრძალვების არარსებობის პირობებში, შესაძლოა, კრიზისი კიდევ უფრო გაგრძელდეს და წარმოების ხელახლა სწრაფად დაწყება კიდევ უფრო გართულდეს). წარმოებაზე მთლიანი უარყოფითი გავლენა შეიძლება შერბილდეს, რადგან ზოგიერთ (განსაკუთრებით მრეწველობის) სექტორში შესაძლოა მოგვიანებით წარმოებამ მოიმატოს და კრიზისით გამოწვეული დაბალი წარმოება დააკომპენსიროს (თუ საწარმოების დახურვა ძალიან დიდხანს არ გაგრძელდა).

2. **გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტები** – COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილიანობა, ავადობა და მათით გამოწვეული ხარჯების ზრდა ჯანდაცვის სისტემაზეაისახება.

ვალუტის გაუფასურება

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების მხრიდან უცხოური მოთხოვნის შემცირებითა და ნავთობის დაბალი ფასებით გამოწვეულმა ტურისტების შემოდინების, ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის მოსალოდნელმა შემცირებამ უკვე იმოქმედა ლარის გაცვლით კურსზე (მეტწილად, მოლოდინების არხებით). მეორე მხრივ, საჰაერო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად, საქართველოდან უცხოეთში ვალუტის გადინებაც იკლებს (ტურისტული სერვისების იმპორტი დაეცემა), რაც დადებით გავლენას იქონიებს სავალუტო კურსზე. კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი შეიძლება ისიც იყოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს დამოკიდებულება ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნებიდან (მაგალითად, რუსეთიდან) მიღებულ ფულად გზავნილებზე საგრძნობლად შემცირდა.

სიტუაცია საქართველოში:

- საქართველოს სახელმწიფო ფინანსების სისტემას აქვს საკმარისი რესურსი კრიზისთან გასამკლავებლად. სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა არ არის ძალიან მაღალი (2018 წელს 44.9% შეადგინა), სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტიცმშპ-ის 3%-ზე დაბალია;
- The Banker-ის შეფასებით, ქვეყნის ფინანსური სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია ECA რეგიონში;
- COVID-19 შემთხვევების რაოდენობა ამჟამად შედარებით დაბალია და, თუ ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებები წარმატებული იქნება, შესაძლოა ჯანდაცვის სისტემა არ გადაიტვირთოს;
- საქართველოს ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი სისუსტე სოციალური უსაფრთხოებს ქსელის ინფრასტრუქტურის არარსებობაა, რომელიც დაზარალებულ ჯგუფებს კრიზისის დროს დაეხმარებოდა. კიდევ ერთი სისუსტეა მსხვილი არაფორმალური სექტორი – ამ სექტორებში დასაქმებულებთან ტრადიციული საშუალებებით დაკავშირება რთულია;

- 2020 წლის იანვარ-თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 6.4% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს. ინფლაციური მოლოდინების თვალსაზრისით, საქართველო გაურკვევლობების წინაშე დგას და ეს ზღუდავს ეროვნული ბანკის მხრიდან ეკონომიკური სტიმულირების შესაძლებლობას. სავარაუდოდ, ეროვნული ბანკი არ შეამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, რათა თავიდან აიცილოს ვალუტის შემდგომი გაუფასურება და ინფლაციური მოლოდინების კიდევ უფრო გაუარესება.

როგორ ცდილობენ სხვა ქვეყნების მთავრობები ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებას?

ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია არაერთი მიმართულებით შეუწყოს ხელი ეკონომიკის გაჯანსაღებას:

ბიზნესი

- გადასახადების გადახდის გადავადება (შვედეთი, რუსეთი, აშშ, იტალია);
- კომპანიების მიერ ავადმყოფობისშვებულების 2 თვით დაფინანსება და სამუშაოს დაკარგვის თავიდან ასაცილებლად დროებითი გათავისუფლების დაფინანსება (შვედეთი, იტალია);
- პანდემიით დაზარალებული ბიზნესების დასახმარებლად სესხების პროგრამების უზრუნველყოფა (დიდი ბრიტანეთი, იაპონია, აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი);
- საგადასახადო შეღავათების საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესების ინვესტიციის მხარდაჭერა (ავსტრალია);
- მცირე და საშუალო ბიზნესების ფულადი სახსრებით დახმარება (ავსტრალია);
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელფასებისთვის სუბსიდიების შეთავაზება, რათა სტაჟიორებმა და შეგირდებმამუშაობა გააგრძელონ (ავსტრალია);
- ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორშიმომუშავე ბიზნესებისთვის ტარიფებისა და გადასახადების მოხსნა (ავსტრალია);
- ადგილობრივი ტურიზმის ღონისძიებების ხელშეწყობა (ავსტრალია);
- კომპანიებისთვის, რომლებსაც სამუშაო საათები შეუმცირდათ, სუბსიდიების მოთხოვნის გამარტივება (გერმანია);
- კომპანიების მიერ ფორსმაჟორის გამოცხადება, თუ ვერ ასრულებენ საჯარო სექტორთან დადებულ ხელშეკრულებას (საფრანგეთი).

დასაქმებულები,მოწყვლადი ჯგუფები

- თვითდასაქმებულთათვის ორ კვირამდე სტანდარტული ავადმყოფობის შეღავათების გადახდა (შვედეთი);
- ერთჯერადი (განმეორებადი, კრიზისის ხანგრძლივობიდან გამომდინარე) ფულადი დახმარება თვითდასაქმებულთათვის (იტალია);
- კარანტინში მყოფი თანამშრომლებისთვის ანაზღაურებადი შვებულების მიცემა (რუსეთი);

- ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა პენსიონერებისთვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური დახმარების მიმღები პირებისთვის (ავსტრალია, აშშ);
- სხვადასხვა ზომების მიღება კომპანიების დასახმარებლადსამსახურიდან გათავისუფლების თავიდან აცილების მიზნით(შვედეთი, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი);
- იპოთეკის გადახდის შეჩერება (იტალია);
- დაზარალებული ოჯახებისა და კომპანიების სესხის მორატორიუმის შენარჩუნება (იტალია);

ჯანდაცვის სისტემები

- მუნიციპალიტეტების დახმარება, ჯანდაცვის დამატებითი ხარჯების დაფარვით (შვედეთი);
- ჯანდაცვის სისტემის დამატებითი დაფინანსება (იტალია);

ფინანსური სისტემები

- ბანკების დახმარება სესხის მისაღებად თანხების მობილიზებაში,კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის ნულამდე შემცირებით (შვედეთი);
- პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთების შემცირება (სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, კანადა);
- ბანკების ლიკვიდურობის ხელშეწყობის მიზნით "რაოდენობრივი შემსუბუქების" ზომების შემოღება (იაპონია, აშშ, ახალი ზელანდია);
- სუვერენული ობლიგაციების ყიდვა, რათა მთავრობებსკრიზისის წინააღმდეგ ფისკალური ბერკეტი გააჩნდეთ (ევროპის ცენტრალური ბანკი);

სხვა ზომები

- კრიზისის ფონდის შექმნა (რუსეთი);
- კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემა გარემოსდაცვითი რეგულაციების შესასრულებლად (ჩინეთი).

რას აკეთებს საქართველო ამჟამად ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ?

საქართველოს მთავრობამ დროულად დაიწყო ფიქრი გამოსავალზე და სწრაფად გამოიყენა ზომები ბაზრის სხვადასხვა მონაწილეზე მკვეთრი ზემოქმედების შესამცირებლად:

ბიზნესი

- სესხების რესტრუქტურიზაცია კრიზისისგან დაზარალებული ბიზნესისთვის;

- ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიებს (სასტუმროებს, რესტორნებს, ტურისტულ სააგენტოებს, სამგზავრო-სატრანსპორტო კომპანიებს, ტურისტულ კომპანიებს, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორებს და ა.შ.) საქართველოს მთავრობა ოთხი თვით გადაუვადებს ქონებისა და საშემოსავლოგადასახადებს;
- სამუშაო კაპიტალის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიაში დღგ-ის დაბრუნების მოცულობა გაორმაგდა;
- შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 4-50 ნომრის მქონე სასტუმროები მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას.

დასაქმებულები

- სესხების სამი თვის გადავადება;
- საშემოსავლო გადასახადის გადავადება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანებისთვის.

ფინანსური სისტემა

- კომერციული ბანკებისთვის სესხების გაცემაზე შეზღუდვების შემსუბუქება;
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ამ ზომის მიღება ნაკლებად სავარაუდო რჩება ინფლაციის რისკის გათვალისწინებით.

სხვა ზომები

- დამატებითი ეკონომიკური წახალისების მიზნით, კაპიტალური ხარჯების (CapEx) პროექტების გაძლიერება;
- მთავრობის მხრიდან სუბსიდირების გზით ფასების დაფიქსირება კონკრეტულ ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფქვილი, შაქარი, ხორბალი, წიწიბურა, ლობიო, რძის ფხვნილი).

საკმარისი იქნება თუ არა მიღებული ზომები?

კრიზისის მასშტაბი მაღალი სისწრაფითიზრდება, ამიტომ მოკლე პასუხია – ალბათ, არა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგნოზი საკმაოდ პესიმისტურია, ფისკალური სტიმულისა და, რამდენადაც შესაძლებელია, მონეტარული პოლიტიკის როლი უმნიშვნელოვანესი იქნება ეკონომიკაზე უარყოფითი შედეგების შერბილებაში.

აშკარაა, რომ ქვეყნის მთავრობისა და კერძო კომერციული ბანკების მიერ მიღებული ზომები პირდაპირ ვერ მიაღწევს მოსახლეობის იმ საკმაოდ დიდ ჯგუფამდე, რომელიც შოკის გამო დაზარალდა: COVID-19-ის გამო უსამსახუროდ დარჩენილები, დაბალი შემოსავლების მქონე პირები, ფულად გზავნილებზე დამოკიდებული ოჯახები. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სექტორი სწრაფად დაუკავშირდეს ამ ჯგუფებს არამხოლოდ ჰუმანიტარული მიზნების, არამედ ქვეყნის განვითარების ზოგადი ინტერესის გათვალისწინებით. შედარებით

გახანგრძლივებულ საკარანტინო პირობებში, უახლოეს თვეებში მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ შეძლებს საკუთარი თავისა და ოჯახის შენახვას.

კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს?

ამ ნაწილში ჩვენ ზოგადად განვიხილავთ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის დამატებით ზომებს, რომლებიც შეიძლება გატარდეს:

უფრო ძლიერი ფისკალური ჩარევა:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი სისუსტე საზოგადოებრივი უსაფრთხოების ქსელის არარსებობაა, რომელიც დაზარალებულ ჯგუფებს კრიზისის დროს დაეხმარებოდა. საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის შეღავათების სისტემა, რომელიც არაერთ ქვეყანაში მოქმედებს როგორც „ავტომატური სტაბილიზატორი“ და რეფლექსურად ამცირებს ეკონომიკის ვარდნის გავლენას. არსებობის შემთხვევაშიც კი, უმუშევრობის შეღავათების სისტემა ვერ შეძლებდა შრომის ბაზარზე მიზნობრივი ჯგუფების ეფექტურად დახმარებას, რადგან საქართველოში არაფორმალური სექტორი საკმაოდ დიდია. არსებულ ვითარებაში მთავრობა უნდა შეეცადოს, ფულადი დახმარება გაუწიოს არაფორმალურ სექტორში მომუშავე ადამიანებს, დაბალშემოსავლიან თვითდასაქმებულებსა და დამოუკიდებელ კონტრაქტორებს. დასაქმებულთა ეს ჯგუფები ყველაზე დაუცველია კრიზისის დროს შემოსავლის ნაკადის შემცირების პირობებში. მით უფრო, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მათ ჰქონდეთ წვდომა ავადმყოფობის შვებულების შეღავათებზე ან უფრო იაფ საბანკო კრედიტებზე.

მთავრობას შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების გამოცდილება და მიმდინარე ღონისძიებებთან ერთად გაატაროს შემდეგი ზომები:

- **დაბალი პროცენტის გადაუდებელი სესხის / ფულადი გადასახადების უზრუნველყოფა დაზარალებული პირებისთვის ან პირდაპირი ფულადი სახსრების გადახდა დაზარალებული ოჯახებისთვის, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ხანდაზმულები და ბავშვები ჰყავთ**. ეს ზომები მნიშვნელოვანია, რადგან სწრაფად აღწევს დაზარალებულ ჯგუფებამდე. სამწუხაროდ, ეს გამოსავალი არ არის სათანადოდ თარგეთირებული მიზნობრივ ჯგუფებზე და აჩენს რისკს, სახელმწიფო სახსრები ტყულიად დაიხარჯოს მათზე, ვინც რეალურად არ არის დაუცველი.
- ე.წ. **„ფული ვერტმფრენიდან“**ან ფულადი ტრანსფერები იმ ოჯახებისთვის, რომელთა შემოსავალიც გარკვეულ ზღვარს ქვემოთაა (ამ ზომას განიხილავს აშშ). თუმცა ეს ღონისძიებაც იმავე საფრთხეს აჩენს სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში. ამასთან, მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ფულადი დახმარება ოჯახებს ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას აძლევს და უარყოფითად არ აისახება მისი მოხმარების არჩევანზე.
- ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის კიდევ ერთი ფორმა შეიძლება იყოს სახელმწიფო სუბსიდიები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონკრეტულად **კომუნალური გადასახადების გადახდისთვის** საჭირო ფინანსური რესურსების

უზრუნველყოფას.არც ეს ზომები არ არის მიზნობრივი, თუმცა სხვადასხვა მექანიზმებით შესაძლებელია შეღავათების ყველაზე გაჭირვებული ოჯახებისკენ მიმართვა.

- **კომპანიების წახალისება კრიზისის მომდევნო თვეებში დასაქმების დონის შენარჩუნების პირობით**: სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს თანამშრომელთა ხელფასების გადახდაში იმ პირობით, რომ ისინი არ შეამცირებენ თანამშრომელთა რიცხვს ან არ აიძულებენ თანამშრომლებს უხელფასო შვებულების აღებას.

ცხადია, არცერთი შემოთავაზებული ღონისძიება არ არის იდეალური, რადგან ვერ ახერხებს კრიზისით ყველაზე მეტად დაზარალებულთა პირდაპირ წვდომას. ეს ღონისძიებები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოკლევადიანი მეორადი გამოსავალი. არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა მომავალში საქართველომ განიხილოს მიზნობრივი სოციალური უსაფრთხოების ქსელის შემუშავების საკითხი. ასეთ სისტემას შეუძლია ქვეყანა უფრო მდგრადი გახადოს მომავალი კრიზისებისა და მოულოდნელი კატასტროფების წინაშე.

მონეტარული პოლიტიკა:

სხვა ქვეყნები ეკონომიკის წახალისებისთვის ფისკალური სტიმულისა და ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას იყენებენ, თუმცა ინფლაციური მოლოდინების თვალსაზრისით, საქართველო გაურკვევლობების წინაშე დგას. როგორც აღვნიშნეთ, 2020 წლის იანვარ-თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 6.4% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალში ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ვარდნა შეამცირებს ზეწოლას ინფლაციაზე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება კი პირიქით, გაზრდის ზეწოლას. ამიტომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი ეფექტი იქნება წამყვანი მომავალში. ამასობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმაუკვე მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში საქართველოსთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაზრდა მოითხოვა. სხვა საერთაშორისო დონორების დამატებით ფინანსურ დახმარებებთან ერთად, ეს დადებითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, გაამყარებს ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს და, შესაბამისად, შეამცირებს ინფლაციას.

უკვე გამოცხადებული ღონისძიებების გარდა, **ეროვნულ ბანკს შეუძლია შეამციროს უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. ეს გაუფასურებისა და ინფლაციის მოლოდინების წარმოქმნის გარეშე გამოიწვევს უცხოურ ვალუტაში სესხებისა და ეკონომიკური აქტივობების სტიმულირებას.**

საერთო ჯამში, ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ საკმაოდ დროულად და ადეკვატურად უპასუხა პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და მიიღო დამსახურებული აპლოდისმენტები საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და ფართო საზოგადოების მხარდაჭერა. თუმცა კრიზისის მასშტაბი იზრდება და საჭირო იქნება დამატებითი ზომების მიღება. ეკონომიკური სურათი უფროდაუფრო გაურკვეველი ხდება, ამიტომ მთავრობა უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეკონომიკური სტიმულირების ზომები პირდაპირ მიაღწევს იმ ადამიანებამდე, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კრიზისით.

ISET

ISETის კვლევითი ინსტიტუტი არის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი ეკონომიკის დარგში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISETის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების სისტემის, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით.

ISET Policy Institute www.iset-pi.ge iset-pi@iset.ge 995 322 507 177